საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთი" (1998წ)

ერთიან საქართველოში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები

I. ერთიანი საქართველოს ახალ სახელმწიფოებრივ მოწყობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის ძირითადი პრინციპებია:

1.1.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა მისი საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში (1991 წლის 21 დეკემბერი)

1.2.საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობა აფხაზეთის რესპუბლიკის (1991 წლის 21 დეკემბერის) ფარგლებში.

1.3.აფხაზეთის კომპეტენციის გაფართოება და მისთვის ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტის სტატუსის მინიჭება.

1.4.აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ჰუმანიტარული განვითარების გარანტირებული უფლებების დაფიქსირება საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებში, ერთიანი საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მონაწილეობის უზრუნველყოფა საქართველოს ფედერაციული სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებში.

1.5.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას იმ სფეროში, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციით, აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით და ხელშეკრულებით ერთიანი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებსა და აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის, ასევე ერთობლივ გამგებლობისათვის მისაკუთვნებელ კომპეტენციებს შორის, რომელსაც აქვს საკონსტიტუციო სტატუსის ხასიათი და ფედერაციული კონსტიტუციის ფარგლებში აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა.

II. აფხაზეთის რესპუბლიკა ახორციელებს შემდეგ სუვერენულ უფლებებს:

2.1.იღებს და შეაქვს ცვლილებები აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში, (იმ პირობით, რომ ეს წინააღმდეგობაში არ იქნება ფედერალურ სახელმწიფოს კონსტიტუციასთან და ხელშეკრულებასთან აფხაზეთის სტატუსის შესახებ).

2.2.განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, მისი შექმნის წესს.

2.3.განსაზღვრავს აფხაზეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაციასა და სტრუქტურას.

2.4.განსაზღვრავს აფხაზეთის რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლებას (საერთო სასამართლო, უმაღლესი სასამართლო, პროკურატურა) იმპირობით,

რომ ფედერალური სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს უნარჩუნდება უზენაესი ინსტანციის უფლება.
2.5.განსაზღვრავს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკას;
2.6.განსაზღვრავს აფხაზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტს.
2.7.ცენტრისაგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საგარეო ურთიერთობებს, მონაწილეობს რეგიონალურ ორგანიზაციებში.
2.8.წყვეტს სოციალური პოლიტიკის საკითხებს (მეცნიერება, განათლება, კულტურა, ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი).
2.9.არეგულირებს შიდარესპუბლიკურ ტრანსპორტს, ტელესაკომუნიკაციო კავშირს, ტელე და რადიოგადაცემებს.
2.10.ახორციელებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს.

II. ფედერაციული სახელმწიფო ახორციელებს შემდეგ სუვერენულ უფლებებს:

3.1.იღებს და შეაქვს ცვლილებები ფედერალურ კონსტიტუციაში;
3.2.კანონშემოქმედება და კონტროლი ფედერალური კანონებისა და ნორმატიული აქტების შესრულებაზე.
3.3.ფედერალური ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სისტემის (საკანონმდებლო, აღამსრულებელი, სასამართლო) ორგანიზაციის წესი და სტრუქტურა.
3.4.ფედერალური სახელმწიფოს მოწყობა.
3.5.განსაზღვრავს სახელმწიფო საზღვრების, ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის დაცვის სტატუსსა და რეჟიმს.
3.6.კანონმდებლობის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას.
3.7.ფედერალური ბიუჯეტი, სავალუტო-საფინანსო სისტემა, ფულის ემისია, ფედერალური ბანკები, საბაჟო სისტემა.
3.8.ფედერალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი, დიპლომატიური და საკონსულო სამსახურები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წევრობა.
3.10.საერთაშორისო და ტრანსრეგიონალური საკომუნიკაციო კავშირი, ეროვნული რადიო და ტელევიზია, ფოსტა და კავშირგაბმულობა, ენერგოშემცველთა ტრანზიტი.
3.11.გარემოს დაცვის კანონმდებლობა და შესრულებაზე კონტროლი.
3.12.სისხლის სამართლის, სამოქალაქო, პროცესუალური კანონმდებლობა, კანონმდებლობა მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ.

4.1.კონსტიტუციური სტატუსი, რომელიც დაფიქსირებულია ხელშეკრულებებში მონაწილე მხარეებს შორის დაუშვებელია შეიცვალოს ან შეტანილ იქნეს მასში ცვლილებები ცალმხრივი წესით.